ბრძანება:ბ**34.01193394**

თარიღი:**05/12/2019**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის ორი წლის საქმიანობის შეჯამების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიების გამართვის თაობაზე

ზემოაღნიშნული ღონისძიების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 82-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილების საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსი) ნინო რაფავას 2019 წლის 05 დეკემბრის N34-01193392814 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის საორგანიზაციო განყოფილებას, გამგეობის ორი წლის საქმიანობის შეჯამების ფარგლებში დაგეგმილი ღონნისძიების ორგანიზება დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების განყოფილებას ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება და ხარჯების ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროგრამით „გლდანის რაიონის გამგეობა“ (კოდი: 10 27) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ.N7), საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბექა მიქაუტაძე

გლდანის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი